ПРОЛЕТАРЕБО ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

კომუნისტი

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠ�გᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

№ 105 (18647) ᲞᲐᲠᲐᲡ�კᲔᲕᲘ, 6 ᲛᲐᲘᲡᲘ, 1983 ᲬᲔᲚᲘ ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐ�პ.

ᲜᲣ ᲓᲐᲕᲐᲚᲐᲗᲔᲑᲗ ᲛᲝᲛᲮᲛᲐᲠᲔᲑᲔᲚᲡ!

ᲡᲙᲙᲙ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ 1982 ᲬᲚᲘᲡ ᲜᲝᲛᲑᲠᲘᲡ პᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲛᲘᲠ ᲓᲐᲡᲐᲮᲣᲚᲘ ეკᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ ᲔᲤᲔᲥᲢᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ ᲐᲛ ᲪᲘᲢᲐ ᲮᲜᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘᲡᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲓᲐᲪᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲛ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲑᲘᲡ, ᲣᲬᲧᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲜᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲝᲑᲐᲖᲔ.

ᲡᲙᲙᲙ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲘᲛᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲛᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐᲜᲐᲮᲐᲠᲯᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦწᲔᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲛᲐᲚᲣᲠᲘ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲝᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲖᲣᲡᲢᲘ ᲨᲔᲡრᲣᲚᲔᲑᲐ.

ᲨᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲓᲘᲡᲪᲘᲞᲚᲘᲜᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲧᲝᲤᲘᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲕᲓᲔᲑᲐ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲨᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲠᲒᲝᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲒᲐᲜᲒᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲖᲣᲡᲢᲘ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲝᲜᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲡᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲘᲗ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡრᲣᲚᲔᲑᲐ.

ᲨᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲓᲘᲡᲪᲘᲞᲚᲘᲜᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲧᲝᲤᲘᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲕᲓᲔᲑᲐ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲨᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲠᲒᲝᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲒᲐᲜᲒᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲖᲣᲡᲢᲘ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲝᲜᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲡᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲘᲗ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡრᲣᲚᲔᲑᲐ.

ᲛᲔᲠᲛᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲠᲔᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲔ�გᲛᲐ ᲛᲘᲜᲘᲛᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐᲜᲐᲮᲐᲠᲯᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦწᲔᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲠᲘᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲧᲝᲤᲘᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲕᲓᲔᲑᲐ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲨᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲠᲒᲝᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲒᲐᲜᲒᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲖᲣᲡᲢᲘ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲝᲜᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲡᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲘᲗ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡრᲣᲚᲔᲑᲐ.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲕᲐᲠᲢᲐᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲓᲐᲪᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲠᲘᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲦწᲔᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲠᲔᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲔ�გᲛᲘᲡ ᲨᲔᲡრᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲠᲝᲖᲔ ᲓᲐᲕᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲗ ᲛᲘᲦწᲔᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲝᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲖᲣᲡᲢᲘ ᲨᲔᲡრᲣᲚᲔᲑᲐ.

ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲒᲔ�გᲛᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲛᲘᲦწᲔᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲠᲔᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ ᲛᲘᲛᲦᲘᲗ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲡᲘ ᲨᲔᲡრᲣᲚᲔᲑᲐ ᲐᲠᲐᲡᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲦწᲔᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲮᲐᲠᲯᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲛᲘᲦწᲔᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲡ ᲛᲘᲦწᲔᲣᲚᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲛᲘᲦწᲔᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲮᲐᲠᲯᲔᲑᲘᲡ ᲖᲣᲡᲢᲘ ᲨᲔᲡრᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲖᲣᲡᲢᲘ ᲨᲔᲡრᲣᲚᲔᲑᲐ.

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚ-ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲕᲓᲔᲑᲐ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲨᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲠᲒᲝᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲒᲐᲜᲒᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲖᲣᲡᲢᲘ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲝᲜᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲡᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲘᲗ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡრᲣᲚᲔᲑᲐ.

ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲠᲔᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲔ�გᲛᲐ ᲛᲘᲜᲘᲛᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐᲜᲐᲮᲐᲠᲯᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦწᲔᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲠᲘᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲧᲝᲤᲘᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲕᲓᲔᲑᲐ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲨᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲠᲒᲝᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲒᲐᲜᲒᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲖᲣᲡᲢᲘ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲝᲜᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲡᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲘᲗ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡრᲣᲚᲔᲑᲐ.

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚ-ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲣᲠᲗᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲠᲝᲖᲔ ᲓᲐᲕᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲗ ᲛᲘᲦწᲔᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲝᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲖᲣᲡᲢᲘ ᲨᲔᲡრᲣᲚᲔᲑᲐ.

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚ-ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲗ

განვიხილავთ კანონის პროექტს

შრომითი კოლექტივი დიდი ძალაა

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები ერთსულოვნად გამოეხმაურნენ პრესაში გამოქვეყნებულ კანონის პროექტს შრომითი კოლექტივებისა და საწარმოების,დაწესებულებების, ორგანიზაციების მართვაში მათი როლის ამაღლების შესახებ. რედაქციაში მოდის წერილები, რომლებიც შეიცავს წინადადებებს პროექტის გამო.

ახალი კანონპროექტის იურიდიული ბაზაა სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-8 მუხლი, რომლითაც შრომითი კოლექტივი განვითარებულ სოციალისტურ საზოგადოებაში განმარტებულია როგორც სოციალისტური საზოგადოების ძირითადი საბაზო უჯრედი. მისი საქმიანობა წარმოების საშუალებების სოციალისტურ საკუთრებასა და ეკონომიკის გეგმაზომიერ განვითარებას ემყარება. საბჭოთა დემოკრატიზმის განვითარების ბაზაზე კიდევ უფრო იზრდება მათი პასუხისმგებლობა საზოგადოებრივ და სახელმწიფო საქმეთა მართვაში შრომელთა ფართოდ ჩაბმის, მუშაობისამსახურეთა პოლიტიკური შეგნების ამაღლებისა და მათი სამეურნეო ინიციატივის განვითარებისათვის, რაც ხუთწლედის პასუხსაგებ დავალებათა წარმატებით შესრულების პირობაა.

კანონპროექტი შედგება 3 თავისა და 23 მუხლისაგან. მათში დეტალურად არის გადმოცემული შრომითი კოლექტივის ცნების, მისი კონკრეტული უფლებამოსილებისა და ხელმძღვანელი ორგანოების საქმიანობის წესი. კანონპროექტში ხაზგასმულია, რომ შრომითი კოლექტივი ყველა იმ მუშაკის გაერთიანებაა, რომლებიც ეწევიან ერთობლივ შრომითს საქმიანობას სახელმწიფო, საზოგადოებრივ საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში, კოლმეურნეობასა და სხვა კოოპერატიულ ორგანიზაციაში. შრომითი კოლექტივები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ორგანიზაციათა ხელმძღვანელობით ახორციელებენ ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ ფუნქციებს, ავითარებენ სოციალისტურ შეჯიბრებას, ხელს უწყობენ მუშაობის მოწინავე მეთოდების გავრცელებას, შრომის დისციპლინის განმტკიცებას. ისინი ზრდიან თავიანთ წევრებს კომუნისტური ზნეობის სულისკვეთებით და ზრუნავენ მათი შრომითი აქტივობისა და პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებისათვის.

შრომითი კოლექტივების გაზრდილი სოციალური აქტიურობის თვალსაჩინო გამოხატულებაა კანონპროექტის მე-13 მუხლი, სადაც ჩამოყალიბებულია მათი უფლებამოსილებანი კადრების მომზადების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და განაწილების დარგში.

შრომითს კოლექტივებს საუალება ეძლევათ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მეშვეობით მონაწილეობა მიიღონ საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში ხელმძღვანელ მუშაკთა თანამდებობაზე დანიშვნის საკითხების გადაწყვეტაში. კანონპროექტში ხაზგასმულია, რომ თანამდებობაზე ამ მუშაკთა დანიშვნა მოხდება შრომითი კოლექტივის აზრის გათვალისწინების საფუძველზე.

მნიშვნელოვნად არის გაზრდილი შრომითი კოლექტივის უფლებები ეკონომიკური და სოციალური განვითარების დაგეგმვაში, კოლექტიური ხელშეკრულებების დადებაში, წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების დანერგვაში, ეკონომიკური სტიმულირების ფონდების განაწილებასა და გამოყენებაში.

შრომითს კოლექტივებს მთელი რიგი ახალი კონკრეტული უფლება-მოსილებანი ენიჭებათ სოციალისტური საკუთრების განუხრელი დაცვისა და მატერიალური რესურსების რაციონალური გამოყენების უზრუნველყოფაში. მაგალითად, საჭიროების შემთხვევაში მათ უფლება ეძლევათ სათანადო ორგანოების წინაშე დააყენონ კანონის დამრღვევი პირის პასუხისმგებლობის საკითხი. კანონპროექტი მოითხოვს, რომ შრომითმა კოლექტივებმა აქტიურად განიხილონ შრომის დისციპლინის დაცვის მდგომარეობა ადგილებზე და მიიღონ კონკრეტული ღონისძიებები მისი განმტკიცებისათვის, რასაც სკკ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შუქზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

შრომითი კოლექტივის აზრის გათვალისწინება ეხმარება სამეურნეო ხელმძღვანელს მუშაობის შემოქმედებითი სტილის დახვეწისა და სამეურნეო პრობლემების ზრდას, კოლექტივის თითოეული წევრის საქმიანობაში აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის ჩამოყალიბებას. სწორედ შრომითს კოლექტივში უნდა შეიქმნას სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების ისეთი ანტიპოდებისადმი შეურიგებელი ბრძოლის ატმოსფერო, როგორიც არის ბიუროკრატიზმი და ფორმალიზმი, დარღვევებისადმი პასიური, შემრიგებლური დამოკიდებულება და სოციალისტური კანონიერების სხვა დარღვევები.

კანონპროექტში ერთმანეთისაგან არის გამიჯნული შრომითი კოლექტივებისა და მმართველობის ორგანოების უფლებამოსილება. მეორე მუხლში ჩაწერილია, რომ სოციალისტური საზოგადოების ამ ძირითადი უჯრედის სახელმწიფო ხელმძღვანელობას დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპის საფუძველზე ახორციელებენ შესაბამისი სახელმწიფო ხელისუფლებისა და მართვის ორგანოები.

განსაკუთრებით საინტერესოა კანონპროექტის მესამე თავი, სადაც დაწვრილებით არის გადმოცემული საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა მართვაში შრომითი კოლექტივის უფლებამოსილებათა განხორციელება.

მასში აღნიშნულია, რომ შრომითი კოლექტივების უფლებამოსილებას ახორციელებს უშუალოდ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის საერთო კრება (კონფერენცია), რომელსაც შეუძლია განიხილოს კოლექტივის ცხოვრებისა და საქმიანობის უმნიშვნელოვანესი საკითხები.

საერთო კრებას იწვევს შრომითი კოლექტივი, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და ადმინისტრაცია. კრებაზე განსახილველი საკითხების შეტანის უფლება აქვთ შესაბამის პარტიულ, პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანიზაციებს, საწარმო-დაწესებულების ადმინისტრაციას, სახალხო კონტროლის ორგანოს.

საერთო კრება გაიმართება საჭიროების მიხედვით, მაგრამ წელიწადში სულ ცოტა ორჯერ მაინც. კრებებს შუა პერიოდში შრომითი კოლექტივის უფლებამოსილებას ერთობლივად განახორციელებენ ადმინისტრაციისა და პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

საერთო კრება კენჭისყრით მიიღებს გადაწყვეტილებებს, რომლებსაც სავალდებლო ძალა აქვს არა მარტო კოლექტივის რიგითი წევრების, არამედ ადმინისტრაციის წარმომადგენლებისთვისაც. საერთო კრების (კონფერენციის) მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი კონტროლს განახორციელებენ როგორც პროფკავშირული ორგანები, ისე საწარმო-დაწესებულების ადმინისტრაცია თავისი უფლებამოსილების ფარგლებში. მათივე ევალებათ ერთი თვის განმავლობაში განიხილონ შრომითი კოლექტივის საერთო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი, რომლის შედეგები უნდა ეცნობოს შრომითს კოლექტივებს.

ამრიგად, ახალი კანონპროექტის მიხედვით საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის შრომითი კოლექტივი გვევლინება როგორც საქმიანობის მაღალი ორგანიზაციისა და კოლექტივის თითოეული წევრის შრომისადმი შეგნებული დამოკიდებულების მთავარი მამოძრავებელი წყარო. ფართო უფლებებმა, რომლებიც ენიჭებათ შრომითს კოლექტივებს, უნდა უზრუნველყოს ერთიან კოლექტივში მუშაკთა რეალურ უფლებათა და თავისუფლებათა შეხამება მათს მოვალეობებთან და პასუხისმგებლობასთან საზოგადოების წინაშე.

ახალი კანონპროექტის შინაარსი მოწმობს იმასაც, რომ საერთო-სახალხო სახელმწიფოს პირობებში პარტიას შრომითი კოლექტივი მიაჩნია ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მთავარ დასაყრდენად, რომლის გააქტიურებითაც ყველა რგოლში უნდა ავამაღლოთ წარმოების ეფექტიანობა და მუშაობის ხარისხი.

განსახილველ პროექტთან დაკავშირებით გვინდა გამოვთქვათ ჩვენი ზოგიერთი მოსაზრებაც.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია კანონპროექტში ზუსტად განისაზღვროს შრომითი კოლექტივის უფლებამოსილება ადგილებზე სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცების საკითხებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი კონტროლის გაძლიერებაში.

მეტი კონკრეტულობაა საჭირო შრომითი კოლექტივებისა და საწარმო-დაწესებულებებში მოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაციების, კერძოდ, პროფკავშირული ორგანიზაციების ფუნქციების გამიჯვნაში. ჩვენი საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში ისინი განსხვავებული რგოლებია, რომელთა ფუნქციების გამყოფი აუცილებელია მათი სწორი ფუნქციონირებისათვის.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, კანონპროექტის მე-8 მუხლში ზუსტად განისაზღვროს, თუ ვის წინაშე და რა სახის პასუხისმგებლობის ღონისძიებათა დაყენების უფლება აქვს შრომითს კოლექტივს მუშაკთა მიზეზით სოციალისტური საკუთრების ხელყოფისა და რესურსების არარაციონალური გამოყენების დროს.

სასურველია დაზუსტდეს კანონპროექტის 21 მუხლის შინაარსი. მასში მიზანშეწონილია მიეთითოს, თუ როდის და ვინ უნდა მოახდინოს რეაგირება, როცა ადმინისტრაცია, პროფკავშირული ან სხვა საზოგადოებრივი ორგანო ერთი თვის ვადაში არ განიხილავენ შრომითი კოლექტივის წინადადებებსა და რეკომენდაციებს.

ვფიქრობთ, აღნიშნული მოსაზრებების გათვალისწინება ხელს შეუწყობს შრომითი კოლექტივების საქმიანობაში მაღალი ორგანიზებულობის მიღწევასა და მათი ქმედითობის ამაღლებას პარტიის სამეურნეო პოლიტიკის წარმატებული განხორციელებისათვის.

ა. აბესაძე,
საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილე.

ოფიციალური განყოფილება

ყაირათიანად გავუძღვეთ საბინაო-კომუნალურ მეურნეობას

სსრ კავშირის მთავრობამ, რომელიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში მატერიალური რესურსების ყაირათიანად ხარჯვას, ამ საკითხზე მიიღო შესაბამისი დადგენილება.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საბინაო-კომუნალური მეურნეობა, რომელსაც ხმარდება მთელი სახელმწიფო ძირითადი ფონდების დაახლოებით მეოთხედი, სათბობ-ენერგეტიკული და სხვა მატერიალური რესურსების ერთ-ერთი დიდი მომხმარებელია. მაგრამ ამ რესურსების რაციონალური გამოყენების ორგანიზაციაში გვაქვს სერიოზული ნაკლოვანებანი, რის შედეგადაც შენახვის დროს იკარგება ან არამწარმოებლურად იხარჯება დიდი რაოდენობის ცემენტი, აგური, სამშენებლო მერქანი, შავი ლითონების ნაგლინი, ფანჯრის მინა და სხვა მასალები. ვურიგდებით წყლის, გაზის, თბური ან ელექტროენერგიის მნიშვნელოვან დანაკარგებს ან არამწარმოებლურ ხარჯვას საცხოვრებელი სახლებს ექსპლოატაციის დროს.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები ვალდებული არიან: უზრუნველყონ, რომ 1983 წელს დამთავრდეს საბინაო-კომუნალური მეურნეობის საექსპლოატაციო საჭიროებისათვის დადგენილი წესით სათბობის, თბური და ელექტრული ენერგიის, სხვა მატერიალური რესურსების ხარჯვის ნორმების შემუშავება და დამტკიცება, ამასთან გათვალისწინონ საცხოვრებელი სახლებისა და კომუნალური მეურნეობის ობიექტების ექსპლოატაციის მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვა.

1984 წლიდან მოყოლებული სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებსა და შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს დაუსახონ საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში სათბობ-ენერგეტიკული რესურსების დაზოგვის ამოცანები.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს დაევალათ, რომ უზრუნველყონ ყოველწლიურად საშუალოდ 1,5-2 პროცენტით შემცირდეს საცხოვრებელი სახლებისა და კომუნალური მეურნეობის ობიექტების ექსპლოატაციისა და რემონტის დროს გამოყენებული შავი ლითონების ნაგლინის, მილების, ცემენტის, ხე-ტყისა და ფანჯრის მინის ხარჯვა, სამუშაოთა ორგანიზაციის დონის ამაღლების, ინდუსტრიული ეკონომიური კონსტრუქციების ფართო გამოყენების, ტრანსპორტირებისა და სამუშაოთა წარმოების დროს მასალების დანაკარგების ლიკვიდაციის დაცვის გზით. დაზოგილი მასალები უნდა მოხმარდეს საცხოვრებელი სახლებისა და კომუნალური მეურნეობის ობიექტების ექსპლოატაციისა და რემონტის საჭიროებისათვის.

დასახულია მრეწველობის საჭიროებისათვის სასმელი წყლის ხარჯვის შემცირების ღონისძიებანი.

დადგენილებაში დიდი ყურადღება ეთმობა მეორეულ რესურსებად საყოფაცხოვრებო ნარჩენების გამოყენების საკითხებს. უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების სანიტარიული წმენდის სქემების შემუშავება და განმტკიცება, მთელ რიგ ქალაქებში მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების უტილიზაციის ჭარხნების მშენებლობა, ნაგვის საწვავი მოწყობილობის, საყოფაცხოვრებო ნარჩენების კომპოსტად გადამუშავებელი მოწყობილობის, დიდი ტევადობის ნაგავშიდების სერიული წარმოების ორგანიზაცია.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს დაევალათ განახორციელონ ღონისძიებანი საცხოვრებელი სახლების რემონტისა და ნგრევის დროს დემონტირებული სადურგლო ნაწარმის, სანიტარიულ-ტექნიკური და სხვა მოწყობილობებისა და მასალების დაცვა-შენახვის გაუმჯობესებისათვის, დაადგინონ განმეორებით მათი გამოყენებისა და მოსახლეობისათვის მიყიდვის, აგრეთვე მათი დაცვის უზრუნველყოფისათვის მუშაკთა მატერიალური წახალისების წესი.

დადგენილების შესაბამისად ქალაქის ელექტრული ტრანსპორტის მთელ მოძრავ შემადგენლობას მეთორმეტე ხუთწლედიდან დაწყებული გამოუშვებენ ისეთი მართვის სისტემებით, რომლებიც უზრუნველყოფენ ელექტროენერგიის ეკონომიას. უნდა ავითვისოთ ხელსაწყოების, მოწყობილობისა და ავტომატიზაციის სისტემების წარმოება, რომლის მეოხებითაც შესაძლებელი იქნება საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში მატერიალური რესურსების უფრო მომჭირნედ ხარჯვა.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასკომებს, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს დაევალათ უზრუნველყონ საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში სათბობის, თბური და ელექტროენერგიის, ძირითადი საშენი მასალების ხარჯვისადმი მკაცრი კონტროლი, გააძლიერონ ამ მიმართულებით მომჭირნეობისა და ყაირათიანობის პროპაგანდა, უფრო ფართოდ ჩაბან მოსახლეობა საბინაო ფონდისა და ეზოების ტერიტორიების სათანადო ტექნიკური და სანიტარიული მდგომარეობის დაცვისათვის გაშლილ მუშაობაში.

ციმბირის ენერგეტიკის განვითარება

მოკახმარეველთა მყარი ენერგომომარაგებისა და ციმბირის სათბობ-ენერგეტიკული ბალანსის სტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება „1983-1985 წლებსა და 1990 წლამდე პერიოდში ციმბირის ელექტროენერგეტიკის განვითარების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“.

ამ დადგენილებამ სსრ კავშირის ენერგეტიკის სამინისტროსა და მთელ რიგ სხვა სამინისტროებს დაუსახა ამოცანები 1983-1990 წლებში აამოქმედონ ციმბირში განლაგებული ელექტროსადგურების ენერგეტიკული სიმძლავრეები, აგრეთვე უმნიშვნელოვანესი ელექტროგადამცემი ხაზები და ელექტროქვესადგურები, მათ შორის 1249 კილომეტრი სიგრძის ზემაღალი ძაბვის (ერთი მილიონ 150 ათასი ვოლტი) ელექტროგადამცემი ხაზები და 1782 კილომეტრი სიგრძის 500 ათასი ვოლტი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზები. დასახულია 1984-1987 წლებში აშენდეს და ამოქმედდეს კრასნოიარსკის, უსტ-ილიმსკისა და ბრატსკის მაგისტრალური თბური ქსელები და 1983-1985 წლებში — ერთი მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები სსრ კავშირის ენერგეტიკის სამინისტროს გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაკებისათვის.

ელექტროენერგეტიკის ობიექტების, საწარმოო და სარემონტო ბაზების, საცხოვრებელი სახლებისა და არასაწარმოო დანიშნულების სხვა ობიექტების მშენებლობისა და ამოქმედებისათვის დასახული ამოცანების შესრულების უზრუნველსაყოფად გათვალისწინებულია საჭირო ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გამოყოფა.

სსრ კავშირის წითელი წიგნის შესახებ

„ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების შესახებ“ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად სსრ კავშირის მთავრობამ მიიღო დადგენილება „სსრ კავშირის წითელი წიგნის შესახებ“.

სსრ კავშირის წითელი წიგნის — იშვიათი და გადაშენების პირას მისული ცხოველებისა და მცენარეების წიგნის წარმოება, რომელიც უნდა შეიცავდეს ასეთ სახეობათა ცხოველებისა და მცენარეების შენარჩუნებისა და რაციონალური გამოყენების ღონისძიებათა შემუშავებისა და განხორციელებისათვის საჭირო ცნობებს, დაეკისრა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის, სსრ კავშირის თევზის მეურნეობის სამინისტროსა და სსრ კავშირის სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის მონაწილეობით.

განსაზღვრულია სსრ კავშირის წითელ წიგნში და მოკავშირე რესპუბლიკის წითელ წიგნში ამა თუ იმ სახეობათა ცხოველებისა და მცენარეების შეტანის შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესი.

სსრ კავშირის წითელ წიგნში შეტანილი ცხოველებისა და მცენარეების სახეობანი ექვემდებარებიან განსაკუთრებულ დაცვას სსრ კავშირის მთელ ტერიტორიაზე. მათზე ნადირობა (კრეფა) აკრძალულია და შეიძლება წარმოებდეს საგანგებო შემთხვევებში მხოლოდ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ნებართვით.

სსრ კავშირის წითელი წიგნის საჭირო რაოდენობის ეგზემპლარების გავრცელება, რომელიც გამოიცემა სულ ცოტა 10 წელიწადში ერთხელ, დაეკისრა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

აღნიშნული დადგენილების შესაბამისად სახელმწიფო, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი საწარმოები და დაწესებულებები, აგრეთვე მოქალაქეები ვალდებული არიან აცნობონ ცხოველთა და მცენარეული სამყაროს დაცვისა და გამოყენების ორგანოებს სსრ კავშირის წითელ წიგნში შეტანილი ცხოველებისა და მცენარეების დაღუპვის ყველა დადგენილი შემთხვევა, ხოლო აღნიშნული ცხოველების მასობრივი დაღუპვისა ან მასობრივი დაავადების ფაქტების შესახებ, გარდა ამისა, დაუყოვნებლივ აცნობონ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემის ადგილობრივ ვეტერინალურ ორგანოებს და სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის ორგანოებს, აგრეთვე სსრ კავშირის ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს კონტროლის სახელმწიფო კომიტეტის შესაბამის ადგილობრივ ორგანოებს.

5 მაისი

ულტიმატუმი

ფაქტები მოვლენები საკლესიო იუწყება

გამოსმაურება

დავიცვათ მშვიდობა

მოსკოვის საზოგადოებრიობისა და პრესის ყურადღების ცენტრშია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაციის ოფიციალური მეგობრული ვიზიტი საბჭოთა კავშირში, სიტყვები, რომლებიც კრემლში გამართულ სადილზე წარმოთქვეს სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ი. ვ. ანდროპოვმა და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ე. ჰონეკერმა. საზოგადოებრივ მსობრივი ინფორმაციის საშუალებები აღნიშნავენ, რომ სსრ კავშირსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი იღვაწონ საერთაშორისო პოლიტიკური კლიმატის გაჯანსაღებისათვის, ენერგიულად იბრძოლონ გამალებული შეიარაღების ალაგმვისათვის, და განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევენ ი. ვ. ანდროპოვის მიერ წამოყენებული ახალი საბჭოთა სამშვიდობო ინიციატივების დიდ მნიშვნელობას.

მოსკოვის მოლაპარაკებამ, წერს გაზეთი **„ნოიეს დოიჩლანდი“** („გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა), დაადასტურა ორი სახელმწიფოს ხალხთა ძმური მეგობრობა, თანამედროვეობის ყველა უმნიშვნელოვანეს საკითხზე შეხედულებათა სრული დამთხვევა. ამხანაგი ი. ვ. ანდროპოვმა აღნიშნა ორი ქვეყნის ერთიანობა მტკიცე ქმედობისა და დაძაბულობის შენელებისადმი სწრაფვაში, საბჭოთა კავშირი თანამიმდევრულად იღვწის ბირთვული შეიარაღების შეზღუდვისა და გაჩაღებისათვის, სამხედრო კონფრონტაციის დონის შემცირებისათვის.

ამის ახალი დამაჯერებელი დასტური გახდა სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის განცხადება იმის შესახებ, რომ სსრ კავშირი მზად არის მოილაპარაკოს ევროპაში ბირთვული პოტენციალების ტოლობის შესახებ, როგორც მატარებლების, ისე საბრძოლო მუხტების მიხედვით, ინგლისისა და საფრანგეთის შესაბამისი შეიარაღების გათვალისწინებით. ეს უაღრესად მნიშვნელოვანი, ჭეშმარიტად კონსტრუქციული წინადადებებია.

ახალი საბჭოთა ინიციატივების საღი აზრი, გონივრულობა, კონსტრუქციული ხასიათი იმდენად აშკარაა, რომ დასავლეთის პროპაგანდა ვერ ბედავს ხელაღებით უარყოს ისინი და იძულებულია აღიაროს საბჭოთა წინადადებების დიდი მიმზიდველი ძალა. გაზეთი **„ვაშინგტონ პოსტი“**, კერძოდ, საბჭოთა ინიციატივებს უწოდებს „ევროპაში ბირთვული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ ჟენევის ჩიხში მოქცეული მოლაპარაკების გამოსავლის მიგნების ცდას“.

ამასთან დაკავშირებით **ტელეკომპანია ენ-ბი-სი** ხაზს უსვამს, რომ „ი. ვ. ანდროპოვის წინადადება გულდასმით უნდა იქნეს შესწავლილი. ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ახალი საბჭოთა წინადადება მოწმობს წინსვლისათვის მზადყოფნას“.

სი-ბი-ეს ტელეკომპანია, თავის მხრივ, იუწყება: „საბჭოთა ინიციატივა ვაშინგტონის პოლიტიკურ წრეებში დაახასიათეს როგორც უაღრესად გონივრული ნაბიჯი, რომელიც ითვალისწინებს თანაბარ დონეებამდე შემცირდეს როგორც დასავლეთ ევროპაზე დამიზნებული საბჭოთა მატარებლები და რაკეტები, ისე აღმოსავლეთ ევროპაზე დამიზნებული ნატოს მატარებლები და რაკეტები“.

მაგრამ როგორც ვაშინგტონის პირველი ოფიციალური რეაქცია მოწმობს, ამასაწყლობისა და ერთნაირი უშიშროების პრინციპი — ეს სწორედ ის არის, რასაც ვერაფრის დიდებით ვერ შერიგებიან თეთრ სახლში.

სახელმწიფო დეპარტამენტმა პირდაპირ განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ვერ დათანხმდება საბჭოთა კავშირისა და ნატოს ბირთვული ძალების თანასწორობის მოთხოვნას.

ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტრო უფრო ფრთხილ პოზიციას დაადგა და აღნიშნა, რომ იგი მოელის ახალი საბჭოთა წინადადებების „დეტალიზაციას“. საბჭოთა ხელმძღვანელმა, აღნიშნავს ინგლისის **„გარდიანი“**, გადადგა ახალი ნაბიჯი, რომლის მიზანია ევროპაში ბირთვული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ მოლაპარაკებაზე პროგრესის მიღწევა, მისი წინადადება მნიშვნელოვანი კონკრეტიზებულია დასავლეთის იმ დასკვნების წინააღმდეგ, რომლებიც „სს-20“ რაკეტებს ეხება. „დასავლეთი დიპლომატები“, — იუწყება რეიტერის საინფორმაციო სააგენტო, — აღნიშნავენ, რომ ი. ვ. ანდროპოვის წინადადებები ცხადყოფს მოსკოვის მზადყოფნას გამოიჩინოს მოქნილობა ჟენევის მოლაპარაკებაში“.

რადიოსატელევიზიო კომპანია ბი-ბი-სი აღნიშნავს, რომ „საბჭოთა წინადადებებში საბრძოლო მუხტების საკითხის შეტანა ახალი ელემენტია სსრ კავშირის პოზიციის ევროპაში ბირთვული იარაღის საკითხში“, და აცხადებს, რომ დასავლეთმა სერიოზულად უნდა განიხილოს ახალი საბჭოთა წინადადებები, რომელთა მიზანია შენელდეს გამალებული შეიარაღების ტემპი.

ამერიკელ ექსპერტთა ერთ ნაწილს, ეტყობა, ეშინოდა, ეს ეშინოდა ამ ინიციატივის, ეშინოდა, ეს ეშინოდა ამ ინიციატივის, ეშინოდა, ეს ეშინოდა ამ ინიციატივის

იოსებ იმედაშვილის დაბადების 100 წლისთავის გამო

მამულიშვილის ღვაწლი საჩინო

არ არსებობს ხალხი, რომლის კულტურის ისტორიას ღვთაებრივი ნიჭით ზეგარდმოფენილებთან ერთად, არა ჰყავდეს ნიჭიერ, მამაც, გულწრფელ, ალალ-მართალ მოღვაწეთა რაზმი, რომელიც ზურგს უმაგრებს, მხარს აძლევს და შუადამ გვერდით უდგას წინამძღოლს. რარიგ სწორუპოვარიც უნდა იყოს ხუროთმოძღვარი, იგი დიდებულ ტაძარს ვერ შექმნის, თუ გვერდით არა ჰყავს ერთგული და ნიჭიერი თანაშემწენი, თანამდგომნი, აღმშენებელნი, მხარის მიმცემნი, რომლებიც მის ნებას ახორციელებენ, მისი შთანაფიერის მიხედვით აშენებენ უკვდავ ქმნილებას, ძვალს უმსხვილებენ და ხორცს ასხამენ მას. გამოჩენილ მოღვაწეებს, წინამძღოლებსა და ბელადებს თანამებრძოლებად აუცილებელია ჰყავდეთ ღირსეული თანამოაზრეები. ჩვენი საუკუნის პირველი ნახევრის კულტურული და საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიას ამშვენებს ერთი მეტად მოკრძალებული და მორიდებული ეროვნული მოღვაწისა და პიროვნების მივიწყებული სახელი. საზოგადოებრივი ცხოვრების სარბიელზე მისი რაინდული შემართება, დიდი ერუდიცია, შეძენილი ცოდნა, ღვაწლი და მისი უკუფენა კი უდავოდ დიდი ყურადღების ღირსია.

ჩვენი თაობის თბილისელებსა და ჩემზე უფროსებს კარგად ახსოვთ მაღალი, გამხდარი, წვერულვაშით დამშვენებული, ენერგიული ნაბიჯებით მოარული თუმურქუდიანი და ნაბადწამოსხმული იოსებ იმედაშვილი. იოსებ იმედაშვილის სამკვიდრო სოფელი იმითაც არის სახელგანთქმული, რომ ამ ჩვენი სახელოვანი ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე დაიბადა. სოფელმა ხაშმმა სახელი იმითაც დაიგდო, რომ იქ მართლაც თავისებური მარაჯოშის გემოს შავი ღვინო მოჰყავთ, კახეთში კი ღვინით რომ ვინმე გაკვირვო, ძნელი საქმეა. ამ სოფელმა წარუშლელი კვალი დატოვა იოსებ იმედაშვილის მთელი ცხოვრების გზაზე და ადგილი მის ანდერძშიც პოვა. სიკვდილის წინ იოსებ იმედაშვილმა დაუბარა შვილებს, შვილიშვილებსა და ახლობლებს, ხაშმი არ მიატოვოთო. სოფელი ხაშმი თბილისიდან სულ რაღაც ორმოციოდე კილომეტრით არის მოცილებული. ამ სოფელთან ახლოს იყო ოინარე ნათლისმცემლის სახელზე აგებული, ახლა უკვე დანგრეული და ფრესკებჩამორეცხილი ეკლესია. ხაშმის შემოგარენი ძველი საქართველოს სიძველეებითა და ხურნელით სუნთქავს. ხაშმთან ახლოა უჯარმა, მუხროვანი, პატარძეული, გიორგიწმინდა, ნინოწმინდა, გარეჯის უდაბნო და მრავალმთის ნათლისმცემლის სახელზე აგებული ის ეკლესია, სადაც თავისიანებზე გულარძნილი, საქართველოს დიდი ჭირისუფალი სულხან-საბა ბერად შედგა. დიდმა მამულიშვილმა, სხვა გზა რომ ვეღარ მონახა სამშობლოს დასახსნელად, ქრისტეს სჯულისა და სიწმინდის ქადაგება იწყო. დიდ, მაძულიშვილთა დამოძღვრის კვალს, გაჰყვება სოფელ ხაშმში დაბადებული, ადრე დაობლებული, მწარი და მიუსაფარი, პატარობიდანვე შრომასა და გარჯას მიჩვეული, ცხოვრებისგან ადრე გამოჯეკილი იოსებ იმედაშვილი.

იოსებ იმედაშვილს ამაყი, ხასიათით მტკიცე და შეუვალი წინაპრები ჰყოლია. გოროზი, მაგრამ სამართლიანი და წმიდა კაცი ყოფილ იოსების მამაც — ზაქარია იმედაშვილი, რომელსაც თავისი უტეხი ხასიათის გამო ჩაფრისათვის არაფერი დაუთმია; ჩაფარს სხვალოდ მათრახი გადაუკრავს მისთვის, ზაქარიას ხანჯალი დაუტრიალებია, ჩაფარი ირეკ მოუკლავს, მერმე საკუთარი სოფლიდან აყრილა და თავი წერაქვისათვის შეუფარებია. გამრჯე და ბრომისმოყვარე გლეხს თავისი ცხოვრება ხიზნობაშიც კარგად მოუწყვია, მაგრამ დიდად მორწყულნე კაცი ყოფილა, სულიერი მამისათვის გაუნდგია, ჩემს სინდისს კაცის სისხლი ამძიმებსო, იმას პოლიციისთვის უცნობებია ყოველივე განდობილი და ზაქარიას თავი მეტეხის ციხეში ამოუყვანია. მართალია, ზაქარია ხაპატმრობიდან მალე გაუთავისუფლებიათ, მაგრამ მამაცა და ძვალიც იმ დღიდან ეკლესიის მიმართ შეორგულებულან. იოსებ იმედაშვილს ბავშობა იმითაც გაფრარებულა, რომ დედა ადრე გარდაცვლია, რასაც ოჯახის დაქსაქსვა მოჰყოლია. მამა ბედის საძიებლად თბილისს წამოსულა, მაგრამ ამ მზსაქვეშეთში დიდხანს ყოფნა აღარც მას დასცლია და უდროოდ აღსრულებულა.

წერა-კითხვა იოსებისათვის დედას უსწავლია. მამის გარდაცვალების შემდეგ იოსებს პირი ქალაქისაკენ უქნია, მცირე ხანს აქაც მოჯამაგრეულ ყოფილა და შემდგომ სახელოსნო სასწავლებელში მოწყობილა. აქვე გამოუძღვნებია ყრმა იოსებს ლექსების წერის უნარი და მოწაფეთა ჟურნალი „თარი“ გამოუცია. იმავე დროს იოსებ იმედაშვილი არალეგალურ ლიტერატურას დასწაფებია, რაც შეუმჩნეველი არ დარჩენია და სახელოსნო სასწავლებლიდან დაუთხოვნიათ.

მაღე იოსებს იმდროინდელი საქართველოს სასახელო კაცი — ზაქარია ჭიჭინაძე გაუცნია და დამეგობრებია. ზაქარია ჭიჭინაძე რომ უცოლშვილოდ გადაეგო და მისი ბინა მუდმივი თავშესაფარი იყო იმ ქართველი უბინაო და დევნილი ახალგაზრდებისა, რომლებიც მიზნად ისახავდნენ რაიმე ერგოთ თავისი ხალხისა და ქვეყნისათვის, ეს საყოველთაოდ ცნობილი ამბავია. ზაქარია ჭიჭინაძესთან დამეგობრება ხაზგასმით იმიტომ აღვნიშნეთ, რომ სწავლას მოწყურებულმა ჰაბუაძა იოსებ იმედაშვილმა უფროსი მეგობრისა — ზაქარია ჭიჭინაძის შემწეობითა და თანადგომით გაიფართოვა თვალსაწიერი და გონსაწიერი, გაიცნო და ეზიარა არა მარტო ქართული, არამედ რუსული და ევროპული მწერლობის საუკეთესო ქმნილებებს. გარდა ამისა, დიდად დაინტერესდა სამართლის მეცნიერებით, ფილოსოფიით და სოციალურ-ეკონომიკური ლიტერატურით. მის ცხოვრებაში ამავე ხანას ეკუთვნის მუშებთან დაახლოების ისტორია და ფარული არალეგალური ლიტერატურის შეტანა რკინიგზისა და ყოფილი ადელხანოვის ფაბრიკაში. ქართველის გარდა, იოსებ იმედაშვილმა კარგად იცოდა რუსული, სომხური და თათრული ენები, რამაც თბილისის მუშათა ფართო ფენებში დიდი პოპულარობა მოუხვეჭა.

იოსებ იმედაშვილს დიდი ღვაწლი მიუძღვის მუშათა თეატრის დაარსების საქმეში. 1893 წელს პირადად იოსებ იმედაშვილის რეჟისორობითა და ხელმძღვანელობით დავთა ახალკაცისა და ვასო რაქვიაშვილის მონაწილეობით ავჭალის მუშათა თეატრში წარმოადგინეს გიორგი ერისთავის „ძუნწი“.

იოსებ იმედაშვილისავე დამსახურებაა სასოფლო თეატრების რეპერტუარების გაფართოება-შექმნაც, რისთვისაც მან ორიგინალური და ნათარგმნი პიესების ორი კრებული გამოსცა 1899 და 1901 წლებში.

იოსებ იმედაშვილს დიდი დამსახურება მიუძღვის ეგრეთ წოდებული სახალხო წიგნების გამოიბეჭდა, გამომზუურება და მხატვრული სიტყვის საშუალებით დღის სინათლეზე გამოტანა მისთვის მთელი შეგნებული ცხოვრების მიზნად იქცა. ამავე გზას დაადგა იგი როგორც ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე. ასეთივე იყო იოსებ იმედაშვილის რევოლუციური პოეზიაც. ლექსთა კრებულები „ხალხის გმირი“, „სიყვარულის ძალა“, პოემა „ქვის მტვრეველი“, ლექსები შრომის დიდ მომავალზე, ხალხთა მეგობრობაზე, „პროლეტარიატის ჰიმნი“ მშრომელი ხალხის უადამიანო ჩაგვრა-ძარცვის, მუშებისა და გლეხების დამონების წინააღმდეგ იყო გამიზნული. იოსებ იმედაშვილი მუდამ ჩახმახივით იყო შემართული პირად ცხოვრებასა თუ შემოქმედებაში.

